ნელი დოლიძე 2018 წლიდან არის თანამედროვე განათლების აკადემიის იურისტი. მას ამ სფეროში საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს.

2014-2017 წლებში მუშაობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს ვაკე-საბურთალოს რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრში უფროსი სპეციალისტის, იურისტის პოზიციაზე.

2017-2018 წლებში დასაქმებული იყო ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრში.

დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. არის ამავე უნივერსიტეტის იურიდიული მაგისტრი.

ნელი ორიენტირებულია განვითარებაზე და აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა სახის პროფესიულ ტრენინგ-კურსებში.